



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის

№ 15

ქ. ბათუმი

2019 წლის 11 დეკემბერი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ მ ბ ო ზ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაზიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვი- თარების კომისიის თავმჯდომარე;
თემურ კახიძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემო- კრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგი- ლე;

ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარე;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
არ ესწრებოდნენ:	
დიმიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს წევრი;
გელა დეკანაძე	საკრებულოს წევრი.
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - ჯაბა ტულუში;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- შპს „სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის“ დირექტორი - მინდია კახიძე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე, იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე; პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა და წარმატებები უსურვა დამსწრე-საზოგადოებას. ასევე აღნიშნა, რომ დღეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 7 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

საკითხი 2. „2019 წლისათვის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: შპს „სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის“ დირექტორი მინდია კახიძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N85 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

საკითხი 6. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

საკითხი 7. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით უფლებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 16 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა-2 (ლ. სირაბიძე, ი. თოფურაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 1(ა. მამულაძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი არჩილ მამულაძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას, მან თანადგომა გამოხატა საოკუპაციო რეჟიმის უკანონო პატიმრის, ექიმის ვაჟა გაფრინდაშვილის მიმართ, რომელიც პროფესიული მოვალეობის შესრულებისას იქნა გატაცებული. ხელისუფლებას მოუწოდა დიპლომატიური გზების გამოიხილოს მისი განთავისუფლებისათვის. ასევე გულისტკივილით აღნიშნა, რომ წლის განმავლობაში მის მიერ ყველა სხდომაზე 2 ან 3 მნიშვნელოვანი საკითხი იქნა გაჟღერებული, ქალაქის ინტერესებიდან და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებიდან გამომდინარე, სამწუხაროდ არ შესრულებულა. გამომდინარე აქედან, შეიძლება სარჩელის აღძვრა სასამართლოში შესაბამისი სამსახურების მიმართ და მოითხოვოს ქმედების დავალდებულება. ამიტომ დეპუტატების სიტყვას პატივი ვცეთ, საფუძვლიანად შეისწავლოთ სხდომაზე დასმული საკითხები. გარდა ამისა სადამოს საათებში, განსაკუთრებით ერთი მონაკვეთი მელიქიშვილისა და ფარნავაზ მეფის კვეთაში საცობია, დასამონტაჟებელია შუქნიშანი. მან განაცხადა, რომ პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე საკითხების განხილვაში არ მიიღებს მონაწილეობას.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ მოულოცა ყველა მოქალაქეს ღირშესანიშნავი თარიღი, რომელიც ხვდა წილად საქართველოს, 6 თვის მანძილზე საქართველო იქნება ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა. დღეს არის ღირშესანიშნავი თემის აღნიშვნა, რომელიც გაგრძელდება 14 დეკემბერს თბილისში, რადგან ეს არის მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოსთვის. მისივე თქმით, დედაქალაქში წასვლას არავის აიძულებენ. ადამიანები სიხარულით უერთდებიან ღონისძიებას და ის დრო, რო-დესაც ვიღაცები იძულებული იყვნენ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ემოქმედათ, წარსულს ჩაბარდა.

საკრებულოს წევრი ირაკლი პატარიძე შეუერთდა მილოცვას. მან აღნიშნა, რომ მაწანწალა ძაღლებთან დაკავშირებით ღონისძიებები დაგეგმილია და გვარდება ნაწილობრივ, ქალაქში არსებულ სპორტული მოედნები, რომელიც გამოსულია მწყობრიდან, ხელოვნური საფარი არის უვარგისი და დაგლეჯილი.

საკრებულოს წევრმა გოჩა მგელაძემ მუნიციპალიტეტის მერიას მადლობა გადაუხადა ბონში, მაიაკოვსკის განახლებული ქუჩის შესახებ, რაც შეეხება პრობლემას, აკრძალულ ადგილებში გაჩერებულია მანქანები, სადაც იბარებენ ციტრუსს, მერიის ზედამხედველობის სამსახური ასრულებს თავიანთ სამსახურს, მაგრამ საპატრულო პოლიციის მხარდაჭერა სჭირდებათ.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში გაჟღერდა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დაფინანსების თაობაზე, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ორგანიზაცია დოტაციაზეა, ბილეთების კონტროლი არის ძალიან ცუდი, მან მიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას თხოვნით ახალი ღონისძიებების შემუშავებისთვის - ჯარიმების ამოღება და კონტროლის გამკაცრება.

საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე უერთდება არჩილ მამულაძის პათოსს ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით, რომელიც ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს ყველაფერი მისი განთავისუფლებისათვის. ასევე აღნიშნა, რომ სპორტის სასახლეში მიმდინარეობს საქართველოს თასის თამაში ბერძნულ თავისუფალ ჭიდაობაში და სპორტის სასახლე იხსნება მაშინ, როცა საქართველოს ჩემპიონატი ტარდება, სხვა შემთხვევაში დაკეტილია. მერს, მთავრობას მიმართავს,

რომ სპორტსმენებმა გამოიყენონ დარბაზი ვარჯიშისთვის. ასევე ქალაქის რიგ ადგილებში დაზიანებულია ქვაფენილები, შესაკეთებელია ქუჩის მოედნები და აუცილებელია ახლის შემატება.

საკრებულოს წევრმა თამაზ სალუქვაძემ აღნიშნა ბათუმში, თევზის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის ანტისანიტარიის თაობაზე, ასევე ქალაქის რიგ ადგილებში დგას წლების განმავლობაში ამორტიზირებული მანქანები და მიმართა რეაგირებისთვის. მერიის ზედმხედველობის სამსახურის მიმართ აქვს შენიშვნა უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ გადაცემული ინფორმაცია გათქვეს მეპატრონესთან.

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ აღნიშნა, რომ ბაგრატიონის, მელიქიშვილის, და გოგოლის ქუჩებზე არის დაგებული ბეტონის ფილები, რომელიც საფრთხეს უქმნის გადაადგილებისას მანქანებს და მძღოლებს. ასევე გამოთქვა უკმაყოფილება ქალაქში მაწანწალა ძაღლებთან დაკავშირებით, რომლებზედაც უნდა განხორციელდეს რეაგირება.

საკრებულოს წევრმა თამაზ დევაძემ აღნიშნა, რომ ბაგრატიონის ქუჩაზე, არაერთხელ მიმართა შპს ავტოტრანსპორტის დირექტორს ავტობუსის გასაჩერებელი ადგილის დახაზვის თაობაზე, რადგან ჩამდგარი ტრაილერების გამო იქმნება საცობები.

საკრებულოს წევრმა ელგუჯა ანდრიაძემ აღნიშნა, რომ ხიმშიაშვილის ქუჩაზე, ყინულის სასახლესთან დგას მისაბმელიანი ტრანსპორტი, რომელიც საჭიროებს გადაყვანას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს წინა სხდომაზე და დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზე დასმულ კითხვებზე პასუხს გაცემს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მომდევნო მორიგ სხდომაზე, თუმცა ბათუმის ვიცე-მერმა გამოთქვა სურვილი რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემად.

ბათუმის ვიცე-მერმა ჯაბა ტულუშმა აღნიშნა, რომ სატრანსპორტო მიმართულებას, საცობებს რაც შეეხება დონორ ორგანიზაციებთან ერთად მიმდინარეობს პროექტები, გასულ კვირას იყო შეხვედრა, კერძოდ, გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მიერ გამოყოფილია დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც მოხდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შესწავლა და შემდგომი განვითარება-დაგეგმვა, განხორციელება, პროექტის სახელწოდება პირდაპირ მიუთითებს, რომ არის მდგრადი ტრანსპორტის განვითარება ქალაქ ბათუმისათვის, რაც მიმდინარე წლიდან დაიწყო აქტიურად, კერძოდ ხორციელდება საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფის მიერ ნაკადების შესწავლა ე.წ. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასაბუთების შედეგადა, რომელიც მიმდინარე წელს და 2020 წლის იანვრის ბოლოს დასრულდება. აღნიშნული კვლევიდან უკვე გამოიხატება გარკვეული პრიორიტეტები, რომელიც მუნიციპალიტეტთან შეთანხმდება და გამოყოფილი პრიორიტეტებიდან დაიწყება კონკრეტული პროექტების განხორციელება. მომავალი წლიდან ჩაერთვება საპროექტო-საკონსულტაციო ჯგუფი და მოხდება კონკრეტულად იმ პრიორიტეტული მიმართულებისა, რაც გამოიკვეთება კვლევის მიხედვით და აქტიურად დაიწყება პროექტების განხორციელება. სტადიონის საფარს რაც შეეხება კერძო კომპანიამ გამოხატა სურვილი და მიმდინარეობს ქალაქის სამ ლოკაციაზე მთლიანი რეაბილიტაცია. მომავალი წლიდან საფეხბურთო სტადიონი შევა ექსპლუატაციაში. ასევე გზების მოვლა-პატრონობაზე იყო კითხვა, ქალაქის მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს, მიმდინარე წელს ქალაქში არსებულ გზებს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. ფილების აღდგენითი სამუშაოები ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება. უპატრონო, მიტოვებულ ავტომანქანებთან დაკავშირებით აქტიურად მუშაობენ საპატრულო პოლიციასთან ერთად,

კერძოდ ინდეტიფიცირება ხდება, აღნიშნულის თაობაზე ჩართულია როგორც საპატრულო, ასევე მერიის ზედამხედველობის განყოფილება კანონის ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სამდივნოს დაავალა დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად სხდომის ოქმის ამონაწერი გადაგზავნილი იქნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თეზიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ცვლილება. ასევე გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში ასახული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის თანხა. ასევე, ელექტრონული ტენდერების და ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შედეგად დაფიქსირებული ეკონომიების ხარჯზე გათვალისწინებული იქნა ახალი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება;

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იზრდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 5,433,4 ათასი ლარით. მათ შორის: გადასახადები - 3,792,0 ათასი ლარით, 11 თვის ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით იზრდება ქონების გადასახადის წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი. სპეციალური ტრანსფერი - 1,256.4 ათასი ლარით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა "ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის" პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით; სხვა შემოსავლები - 385.0 ათასი ლარით, 11 თვის ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით იზრდება პროცენტების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი.

დანართი თან ერთვის.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ დასვა შეკითხვა სატუმბი სადგურის ელ. ქსელის დაერთების საფასურის 50%-იანი დაფინანსების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ ბათუმში, არდაგანის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლე-

ბის სატუმბი სადგურის ელ. ენერჯის ქსელში ჩართვის საფასური იზრდება 68,000 ლარით. 50% ფარავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ნაწილს ცენტრალური ხელისუფლება.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 2(ა. მამულაძე, ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი: -1 (რ. თავართქილაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 2,,2019 წლისათვის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ცვლილება ფონდიდან გამოყოფილი თანხის შეუცვლელად.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების მიღება დაგეგმილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 2(ა. მამულაძე, ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი: -0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: შპს „სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის“ დირექტორი მინდია კახიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზანია შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს (ს/კ245426490) ლიკვიდაციის დაწყების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა. დღეის მდგომარეობით სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება კომპონენტის განმახორციელებელია ქალაქ ბათუმის/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის შპს „ბათუმის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრი“. დადგეგმილი რეორგანიზაციის ფარგლებში, დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ქ.თბილისის. ქ. ბათუმის და დაბა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, „სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება“-ს კომპონენტის განმახორციელებლად და მომსახურების მიმწოდებლად განისაზღვროს უშუალოდ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი, რაც საშუალებას მისცემს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის გაუმჯობესების მიმართულელებით გადაიდგას ნაბიჯები ოპერატიულად, როგორც შემდგომში ერთი სამსახურის მიერ მართული პროცესის ჭრილში. რიგი რეგულაციები, სისტემური მიდგომები და მართვის პრინციპები სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისთან მიმართებაში იქნება ერთნაირი, რაც აღნიშნული მიმართულებით მაღალი სტანდარტის დანერგვას შეუწყობს ხელს.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 4(ა. მამულაძე, ა. დევაძე, ზ. ნაკაიძე, ნ. ძიძიგური)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი: -1 (რ. თავართქილაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრე-ბულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებით გათვალისწინებულია „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მერიის საბინაო ფონდიდან გამოყოფილი საცხოვრებელი ბინები გადაეცემა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრები (დედა ან/და მამა) დაბადებულია ქ. ბათუმში, მაგრამ მიმდინარე პერიოდისათვის საცხოვრებელი ადგილი რეგისტრირებულია საქართველოს სხვა რეგიონში და რომლებსაც ჰყავთ 7 (შვიდი) და მეტი შვილი. პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება 1 საცხოვრებელი ბინით, რომლის საერთო ფართი შეადგენს 120 კვმ-დან 135 კვმ-მდე. ამასთან ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა უფროსი შვილის წლოვანება არ აღემატება 23 წელს. ნაშვილობის შემთხვევაში ნაშვილობის ასაკი უნდა შეადგენდეს 3 წელს.

ქვეპროგრამის ბენეფიციარ ოჯახს ბინა გადაეცემა ოჯახის თითოეული წევრის თანასაკუთრებაში (მშობლები და შვილები). კონკრეტული ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემა ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. თანხმობის მიღების თაობაზე საკითხს ამზადებს და საკრებულოს განსახილველად წარუდგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. ქვეპროგრამის ბენეფიციარ ოჯახს საკუთრების უფლების მოწმობის მიღებიდან მოდევნო 10 წლის განმავლობაში ეკრძალება საკუთრებაში გადაცემული ბინის გაყიდვა, გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა ან სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა. ქვეპროგრამის ბენეფიციარ ოჯახს ბინა გადაეცემა შემდეგ მდგომარეობაში: მოწესრიგებული ფასადი და სახურავი; სან-ტექნიკური დანადგარები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ტრაპი); ჩართული საკომუნიკაციო ქსელები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ტრაპი); ბინის კონტურის კედლები; ბინის შიდა შტრიხები; ფანჯრები; კარები; ტიხრებისა და კონტურის კედლების შელესვა; შეღებილი შიდა კედლები; ელ. გაყვანილობა (თითო ოთახზე ორი ელ. წერტილი); ოთახებში დაგებული ლამინირებული პარკეტი; დამონტჟებული შიდა კარები; კეთილმოწყობილი სამზარეულო (ავეჯის გარეშე); კეთილმოწყობილი სველი წერტილები, ან გადაეცემა ბინის სარემონტო

სამუშაოებისათვის ერთჯერადად გამოყოფილი თანხა - 1 კვმ-ზე 250 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამა არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ბინებით იმ მრავალშვილიანი ოჯახების უზრუნველყოფას, რომლებსაც საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთრებაში საცხოვრებელი უკვე გადაეცათ. ან თუკი საკუთრებაში გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი 150 კვ მეტრი და მეტი. თანაბარი პირობების მქონე ოჯახებს შორის უპირატესობა მიენიჭება სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახს. (უპირატეს ქულად განსაზღვრულია 70 000 ქულა);

მრავალშვილიანმა ოჯახებმა, რომელთა მონაცემებიც შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს, პროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია: შვილების დაბადების მოწმობები; ქორწინების მოწმობა; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2019 წლის 30 აგვისტოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას №22792/25 განცხადებით მომართა მარიამ გრიგალავამ და მოითხოვა მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მარიამ გრიგალავას და მერაბ აფხაზავას (მეუღლე) ჰყავთ 7 შვილი, რის დასადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა დაბადების მოწმობები. ამასთან, დადასტურებულია ის გარემოება, რომ მარიამ გრიგალავას და მერაბ აფხაზავას უფროსი შვილის ასაკი არ აღემატება 23 წელს. გარდა აღნიშნულისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2019 წლის 25 სექტემბრის №9308-25 წერილით დასტურდება, რომ მარიამ გრიგალავას ოჯახი როგორც მრავალშვილიანი (5 და 5-ზე მეტი შვილი) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში იმყოფება აღრიცხვაზე 2015 წლის ნოემბრის თვიდან და უფროსი შვილის დაბადების თარიღია 28.07.2008წ.. შესაბამისად, აღნიშნული ოჯახი აკმაყოფილებს ქვეპროგრამის კრიტერიუმებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული 2019 წლის 16 ოქტომბრის №358902 (KA011755910033519) წერილის შესაბამისად დასტურდება, რომ მარიამ გრიგალავას (პ/№61001069607), მერაბ აფხაზავას (პ/№61001036385), ნინო აფხაზავას (პ/№61650000395), ანა აფხაზავას (პ/№61650004103), ე) ნანა აფხაზავას (პ/№61550007969) ვ) ნატა აფხაზავას (პ/№61750024629); ზ) ირაკლი აფხაზავას (პ/№61350032339), თ) ნია აფხაზავას (პ/№61150041742), ი)ნუცა აფხაზავას (პ/№61250054572) სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ მარიამ გრიგალავას თხოვნა მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს და მათ საკუთრებაში უნდა გადაეცეთ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი საცხოვრებელი ბინა: ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ.№1-ში არსებული №10 საცხოვრებელი ბინა (ბლოკი „ა“; მე-6 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.04.051.01.5023.836) საერთო ფართით 128,50 კვმ. ასევე, გადაეცეთ აღნიშნული საცხოვრებელი ბინის სარემონტო სამუშაოების ფულადი ანაზღაურება - 32 125 (ოცდათორმეტი ათას ასოცდახუთი) ლარი, მათ მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 3(ა. მამულაძე, ა. დევაძე, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი: -0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსა-სყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N85 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2019 წლის 03 დეკემბერს წარმოდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის №2562/02 (№31083/25) წერილი სადაც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 16 ოქტომბრის N133 განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაევალა საავტომობილო გზის „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) განთავსების ზოლში მოხვედრილი მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირება, კოორდინატების დადგენა და აზომვითი ნახაზების მომზადება, ასევე კერძო საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების ან/და შენობა-ნაგებობების ღირებულების დადგენა და შესაბამის პროცედურების განხორციელება. ქალაქ ბათუმში, მდინარე ჭოროხის სანაპიროდან მარჯვენა მხარეს, მიმდინარეობს „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის მშენებლობა, რომლის პროექტის არეალში მოქცეულია შპს „ირინას“ საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირის N380-ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილი (ს/კ 05.35.25.119). ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2019 წლის 24 ოქტომბრის N01-01-3/356 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირის N380-ის მიმდებარედ არსებული 565 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 24 ივლისის N25/17052 წერილის გათვალისწინებით სამინისტროს

მიერ დაგეგმილია აღნიშნული 565 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.35.25.275) და შპს „ირინას“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცვლეობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2019 წლის 31 ოქტომბრის N01-01-10/5381 (№28025/25) წერილით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა განეხორციელებინა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებად აღრიცხვისთვის საჭირო პროცედურები, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. აღნიშნულის საფუძველზე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2019 წლის 7 ნოემბრის N1/1-5848 ბრძანებით უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N85 განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირის N380-ის მიმდებარედ არსებული 565,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.35.25.275), პოზიტიურ პირობად კი განისაზღვრა: საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონების შპს „ირინასთვის“ საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა.

საკითხთან დაკავშირებით 2019 წლის 06 დეკემბერს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას №01-01-10/6008 (№31415/25) წერილით მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირის N380-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.35.25.119) რეგისტრაციისა და მუნიციპალურ საკუთრებად აღრიცხვის ერთადერთი მიზეზი და მიზანი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემა შემდგომში, პროექტის ფარგლებში შპს „ირინას“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებაში მონაცვლეობა. ვინაიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N85 განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირის N380-ის მიმდებარედ არსებული 565 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.35.25.275), პოზიტიურ პირობით საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონების შპს „ირინასთვის“ საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო №01-01-10/6008 (#31415/25) წერილით ითხოვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N85 განკარგულების მეორე მუხლში აღნიშნული პოზიტიური პირობის გაუქმებას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს შევიდეს ცვლილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N85 განკარგულებაში და ამოღებული იქნას განკარგულების მეორე პუნქტი.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 4(ა. მამულაძე, ა. დევაძე, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 6. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2017 წლის 08 დეკემბრის №12 და 2018 წლის 22 ივნისის №14 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა, ქალაქ ბათუმში, ხასან ჰელიმიძის ქ. N1-ში მდებარე 2 837,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 და N2 (ს/კ 05.32.01.488) და ქ. ბათუმში, კოწია ერისთავის ქ. N4-ში მდებარე 4 818,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 1021,80 კვ.მ. შენობა-ნაგებობა N1-დან N9-ის ჩათვლით (ს/კ 05.35.28.173) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად აღრიცხვისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება შემდგომში თვითნებურად დამკავებელი მოქალაქეებისათვის დაკავებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2019 წლის 14 მარტის N01-01-10/1258 (#8071/25) წერილით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა განეხორციელებინა ზემოაღნიშნული უძრავი ქონებების მუნიციპალურ საკუთრებად აღრიცხვისათვის საჭირო პროცედურები, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. აღნიშნულის საფუძველზე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2019 წლის 26 აპრილის N1/1-1032 და 2019 წლის 22 მაისის N1/1-1299 ბრძანებებით უძრავი ქონებები საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2019 წლის 24 ოქტომბრის N2315/02 წერილით (#27229/25) დაისვა საკითხი ქალაქ ბათუმის მერიის წინაშე, ზემოაღნიშნული უძრავი ქონებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რის საფუძველზეც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N86 განკარგულებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმში, ხასან

ჰელიმიშის ქ. N1-ში მდებარე 2 837,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულე-ბის მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 და N2 (ს/კ 05.32.01.488) და ქ. ბათუმში, კოწია ერისთავის ქ. N4-ში მდებარე 4 818,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1021,80 კვ.მ. შენობა-ნაგებობა N1-დან N9-ის ჩათვლით (ს/კ 05.35.28.173), პოზიტიურ პირობად კი განისაზღვრა: საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონებების იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემა.

საკითხთან დაკავშირებით 2019 წლის 04 დეკემბერს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას №01-01-10/5958 (№31230/25) წერილით მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინასთა და ეკონომიკის სამინისტრომ რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმში, ხასან ჰელიმიშის ქ. N1-ში მდებარე 2 837,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების N1 და N2 (ს/კ 05.32.01.488) და ქ. ბათუმში, კოწია ერისთავის ქ. N4-ში მდებარე 4 818,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 1021,80 კვ.მ. შენობა-ნაგებობების N1-დან N9-ის ჩათვლით (ს/კ 05.35.28.173) მუნიციპალურ საკუთრებად აღრიცხვის ერთადერთი მიზეზი და მიზანი იყო შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, ხოლო სამინისტროს მიერ დაგეგმილია „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ დადგენილი წესის შესაბამისად უძრავი ქონების ნაწილის მასში მცხოვრებ მოქალაქეებზე გადაცემა, ხოლო დარჩენილი ნაწილის განკარგვა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ვინაიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N86 განკარგულებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას მითითებული უძრავი ქონებები საკუთრებაში გადაეცა პოზიტიურ პირობით- უნდა მოხდეს საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონებების იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინასთა და ეკონომიკის სამინისტრო №01-01-10/5958 (№31230/25) წერილით ითხოვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N86 განკარგულების მეორე მუხლში აღნიშნული პოზიტიური პირობის გაუქმებას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს შევიდეს ცვლილება „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N86 განკარგულებაში და ამოღებული იქნას განკარგულების მეორე პუნქტი.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებთემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 2(ა. მამულაძე, ა. დევამე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი: -0

და ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 7. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით უფლებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს 2019 წლის 25 ნოემბრის №01-11/1007 (№30275/25) წერილით წარმოდგენილი იქნა შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ის (ს/კ 445400664) 2019 წლის 13 ნოემბრის N29/11 კორესპონდენცია, რომელიც ითხოვს ქ. ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ის საკუთრებაში არსებული 14 (თოთხმეტი) ერთეული სავაჭრო ჯიხურების განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთების იჯარით სარგებლობაში გადაცემას. საკითხთან დაკავშირებით 2019 წლის 27 ნოემბერს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ასევე წარმოდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს #03/1196 (#30516/25) წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ რეგიონში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისა და ტურისტულად აქტიურ ადგილებში მისი პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ზე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემულ იქნას შესაბამისი სარეალიზაციო ადგილები.

შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-მა 2019 წლის 04 დეკემბრის N35/12 (#31210/25) წერილით მომართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა 14 (თოთხმეტი) ერთეული საცალო რეალიზაციის სავაჭრო ჯიხურების განთავსების მიზნით ბულვარის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების 2 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემა, სადაც განხორციელდება გაგამგრილებელი წვენების, სადექი რეზინების, ორცხობილების და სხვა პროდუქციის რეალიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ს 2 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცეს ხსენებული მიწის ნაკვეთები და სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს 12880,0 (თორმეტი ათას რვაას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა თამაზ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკა-

ვშირებით იმსჯელეს როგორც კომისიის, ისე ფრაქციის სხდომაზე და აღნიშნა, რომ უმრავლესობის სურვილია საიჯარო თანხის გაორმაგების შემთხვევაში არიან წარმოდგენილი პროექტის მხარდამჭერები.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ დასვა შეკითხვა კერძო პირების დაზარალების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კერძო პირები არ დაზარალებიან.

სხდომის თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება პროექტში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, რომ სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს 40 000 (ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 3 (ა. მამულაძე, ა. დევაძე, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი: -1(გ. მგელაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე

